

ეკატერინე ლაზაძე

დაბადების თარიღი: 1979 წლის 13 თებერვალი

განათლება

- კასის ბიზნეს სკოლა, ლონდონის სიტი უნივერსიტეტი 2006-2007 წწ.
ინვესტიციების მართვა, მაგისტრი
ძირითადი საგნები: საინვესტიციო პორტფელის ანალიზი და მართვა, წილობრივი ფასიანი ქაღალდების ანალიზი და შეფასება, ფიქსირებული შემოსავლის ფასიანი ქაღალდების ანალიზი, დერივატივების გამოყენება, ალტერნატიული ინვესტიციები, სავალუტო ბაზარი, ეკონომეტრიკა
დამატებითი საგნები: უძრავი ქონების ბაზრის ანალიზი, საკრედიტო რისკის ანალიზი
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 2001-2003 წწ.
საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მაგისტრი
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 1996-2000 წწ.
ეკონომიკის ბაკალავრი

სამუშაო გამოცდილება

საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური

2017 წლიდან – 2022 წლის 1 ნოემბრამდე

საქართველოს გენერალური აუდიტორის მოადგილე

ვანხორციელებდი 4 დეპარტამენტის ზედამხედველობასა და მართვას:

- **ბიუჯეტის ანალიზისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტი** - ამზადებს სამსახურის მოხსენებებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ და დასკვნას სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტზე; კოორდინაციას უწევს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წლიური აუდიტორული საქმიანობის დაგეგმვას; უწევს მონიტორინგს სხვადასხვა საერთაშორისო ვალდებულების შესრულებას და სხვა.
- **ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტი** - ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტი უზრუნველყოფს საჯარო დაწესებულებების საქმიანობის და მათ მიერ განხორციელებული პროგრამების ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის შემოწმებას, შეფასებასა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას.
- **ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი** - უზრუნველყოფს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან.
- **პოლიტიკური პარტიების ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტი** - ახორციელებს პოლიტიკური პარტიების შემოსავლებისა და ხარჯების მონიტორინგს და მათ შესაბამისობას საკანონმდებლო მოთხოვნებთან.

**საქართველოს საფონდო ბირჟა, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი „კავკასრეესტრი“
2017 წლის თებერვლიდან – 2017 წლის ოქტომბრამდე**

ფინანსური და საოპერაციო დირექტორი

- ვადგენდი და ვგეგმავდი სამივე ორგანიზაციის ბიუჯეტს; ვაანალიზებდი ორგანიზაციების ფინანსურ საჭიროებებს და მოთხოვნებს
- მონაწილეობას ვიღებდი სამივე ორგანიზაციის საოპერაციო სახელმძღვანელოს შედგენაში
- ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრისცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან ერთად ვმუშაობდი კერძო კომპანიებისთვის ანგარიშგების ფორმების შედგენაზე; ვახდენდი აღნიშნული ფორმების ბირჟის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას
- ვმონაწილეობდი ახალი სავაჭრო სისტემის და ბირჟის ინდექსის შედგენა-შემუშავებაში

DCFTA კომუნიკაციის სტრატეგია (ბრიტანეთის მთავრობის პროექტი)

2016 წლის მარტი – 2016 წლის ნოემბერი

საინვესტიციო ექსპერტი

- ჩავატარე 20-მდე DCFTA საექსპორტო პროდუქტის საინვესტიციო პოტენციალის ანალიზი და შეფასება
- შევიმუშავეთ უცხოელი ინვესტორებისთვის DCFTA-ის საკომუნიკაციო სტრატეგია, შესაბამისი ღონისძიებების ბიუჯეტი და სხვა

თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი

2015 წლის ივნისიდან –2015 დეკემბრამდე

პროექტის კოორდინატორი, კონსულტანტი, აზიის განვითარების ბანკი

- ფორუმის ბიუჯეტის შედგენა
- შესყიდვების, საორგანიზაციო მენეჯერის და ლოჯისტიკის სპეციალისტების ზედამხედველობა
- ვებგვერდის კონტენტის და ოფიციალური პირების მიმართვების შედგენა და მომზადება
- მაღალი რანგის ადგილობრივი და უცხოელი სპიკერების და მოდერატორების შერჩევა და დაკონტრაქტება

ფორუმი მიზნად ისახავდა რეგიონალური ვაჭრობისა და თანამშრომლობის გაღრმავებას და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ღონისძიება დააფინანსა საქართველოს მთავრობამ, აზიის განვითარების ბანკმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ.

საქართველოს ბანკი (შემდგომში გალთ&თაგარტი)

2012 წლის მაისიდან -2015 წლის თებერვლამდე

კვლევების დეპარტამენტის უფროსი

- ენერგეტიკის, ტურიზმის, კომერციული უძრავი ქონების, სოფლის მეურნეობის და ჯანდაცვის დარგების კვლევა და ანალიტიკური ანგარიშების გამოშვება

- საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკების პირველადი კვლევების ჩატარება და პუბლიკაცია
- საქართველოს რკინიგზის და გაზისა და ნავთობის კორპორაციის ევრობონდების კვლევა
- სამეთვალყურეო საბჭოსთვის და მენეჯმენტისთვის ანალიტიკური პრეზენტაციების მომზადება

რენესანს კაპიტალი

2009 წლის დეკემბრიდან -2012 წლის აპრილამდე

ვიცე-პრეზიდენტი, მეტალურგია (ყაზახეთი)

ვიცე პრეზიდენტი, უძრავი ქონება და ინდექსები (დიდი ბრიტანეთი)

- კვლევითი ანგარიშების გამოშვება ლონდონის ბირჟაზე დალისტინგებულ მეტალურგიულ და უძრავი ქონების სფეროში მომუშავე მსხვილ კომპანიებზე
- უცხოელი ინვესტორებისთვის ანალიტიკური მოსაზრებების მიწოდება ყაზახეთის და ცენტრალური აზიის სხვა მსხვილი მეტალურგიული კომპანიების შესახებ
- ყაზახეთის საფონდო ბირჟის კომპანიების ინდექსის დათვლის მეთოდოლოგიის შედგენა
- ბაზრის სიახლეების და ფინანსური მონაცემების ანალიზი
- ინვესტორების, კომპანიებისა და ყაზახეთის მთავრობის შეხვედრების ორგანიზება

და ვინჩი კაპიტალ მენეჯმენტი და ორის კონსორციუმი (კერძო მცირე კომპანიების

დაფინანსების ფონდი ცენტრალურ აზიაში), ყაზახეთი

2009 წლის მაისი - 2009 წლის დეკემბრამდე

მთავარი ანალიტიკოსი

- პოტენციური პროექტების მოძიება და ანალიზი
- საინვესტიციო წინადადებებისა და შეთანხმებების მომზადება
- ინვესტორებთან და ანალიტიკოსებთან კომუნიკაცია და ინფორმაციის მიწოდება

რენესანს კაპიტალი (ყაზახეთი)

2007 წლის სექტემბრიდან -2009 თებერვლამდე

აქციების ანალიტიკოსი: საბანკო, უძრავი ქონების და სატრანსპორტო სექტორები

- დარგების ანალიზი და კომპანიების ფინანსური მოდელების შედგენა
- ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების ანალიზი და კომპანიებთან დაკავშირებული სიახლეების ინტერპრეტაცია ინვესტორებისთვის
- აქციების შეძენათან დაკავშირებით კონსულტაციების გაწევა

ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი (დიდი ბრიტანეთი და საქართველო)

2005 წლის ივლისიდან -2006 წლის სექტემბრამდე

ასოცირებული ბანკირი

- დავასრულე 9 თვიანი „მაღალი პოტენციალის საროტაციო პროგრამა“ ბანკის სათაო ოფისში, ქ. ლონდონში. ვმუშაობდი საქართველოს, აზერბაიჯანის, ალბანეთისა და უნგრეთის სატრანსპორტო და ინფრასტრუქტურულ პროექტებში
- მოვიზიდე 4 ახალი საინვესტიციო პროექტი სხვადასხვა დარგში
- ვმართავდი მოლაპარაკებებს 27 მლნ აშშ დოლარის სასესხო შეთანხმებაზე საქართველოს სატრანსპორტო სექტორში

- შევადგინე 10 პოტენციური პროექტის დოკუმენტაცია და მონაწილეობა მივიღე 4 სასესიო ხელშეკრულების შეთანხმებაში

ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი (საქართველო)

2002 წლის სექტემბრიდან -2005 წლის ივლისამდე

ფინანსური ანალიტიკოსი

- ვაწარმოებდი დარგებისა და ბაზრების ფინანსურ ანალიზს; მონიტორინგს ვუწევდი 10 არსებულ პროექტს ფინანსურ, სატრანსპორტო, ინფრასტრუქტურულ და ენერგეტიკულ სექტორებში
- ვადგენდი პროექტის დამტკიცებისთვის აუცილებელ დოკუმენტაციას მისი დაწყებიდან დაფინანსებამდე
- ვაწარმოებდი ბანკებისა და სხვადასხვა დარგის კომპანიების ფინანსურ ექსპერტიზას: სასესიო პორთფელის ანალიზს, ფინანსური ანგარიშგების, აუდიტორული ანგარიშებისა და კოეფიციენტების ანალიზს. ასევე, ვანხორციელებდი მარკეტინგული და ბიზნეს გეგმების ექსპერტიზას.
- ვანხორციელებდი მსესხებლების ხელშეკრულებების პირობების შესრულების ანალიზს და მონიტორინგს; ვადგენდი კვარტალური შემოწმების ანგარიშებს
- მოვამზადე და წარვადგინე 5 ტექნიკური დახმარების პროექტი

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (საქართველო)

2001-2002 წწ

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფინანსთა სამინისტროს მრჩეველის თანაშემწე

- მრჩეველის დახმარება შემოსავლებისა და ხარჯების ერთიანი ანგარიშების და ზედმეტად გადახდილი გადასახადის დაბრუნების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების შედგენაში

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი

2000-2001 წწ.

საგადასახდელო ბალანსის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

- საგადასახდელო ბალანსისა და საქართველოს სავაჭრო სტატისტიკის წარმოების კოორდინაცია და მართვა
- საქართველოს პარლამენტისთვის პერიოდული ანგარიშების მომზადება

დამატებითი ინფორმაცია

- **ენები:** ქართული - მშობლიური, ინგლისური და რუსული - სრულყოფილად
- **ტრენინგები:** პროექტის დაფინანსება და მართვა, ინვესტიციები კაპიტალში, საკრედიტო ანალიზი, საბანკო ანალიზი, ფინანსური მოდელირება, საბუღალტრო აღრიცხვა, პრეზენტაციის და მოლაპარაკებების წარმართვა და სხვა.